

აკაკი წერეთლის კიდევ ერთი უცნობი თხზულება

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი
a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.14>

1907 წლის 21 მარტს გაზეთ „Закавказье“-ში გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის სტატია „Ответ газете „Новое Время“. კერძოდ, საუბარია გაზ. „Новое Время“-ში იმავე წლის 12 მარტის 11122-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაზე „Охота на русских людей“, რომელიც Затерянный -ის ფსევდონიმითაა ხელმოწერილი.

სტატიის შინაარსი საკმაოდ პროვოკაციულია. თუ ავტორს დავეუჯერებთ, რუსი ეროვნების ადამიანები საქართველოში სასტიკად იდევენებიან. მაგალითისთვის კი უამბობს მკითხველებს კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დამაარსებელ ნ. შავროვზე თავდასხმის ამბავს.

სტატიის ავტორი თვლის, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს ქართულ იუმორისტულ გაზეთ „ხუმარას“ პუბლიკაციასა და თავდასხმას შორის. მისი თქმით, სწორედ ამიტომ დახურა გუბერნატორმა გაზეთი, ხოლო მისი რედაქტორი აკაკი წერეთელი ციხეში ჩასვა.

სინამდვილეში გაზეთის დახურვა და პოეტის დაპატიმრება გუბერნატორ რაუშ ფონ ტრაუბენბერგის შეურაცხყოფის შედეგი იყო და არა შავროვზე თავდასხმისა, თუმცა თავის სტატიაში Затерянный ასეთ რამეს ამბობს: „... Черезъ нѣсколько дней послѣ появления подлой клеветы, **оглашенной авторитетнымъ княземъ**, убилицы уже подкараулили Шаврова...“ ანუ, კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ავტორი იმ მასალისა, რომელიც შავროვს ეხება და რომელმაც თავდასხმის პროვოცირება გამოიწვია, არის აკაკი წერეთელი.

გაზ. „ხუმარაში“ გამოქვეყნებული ხსენებული ტექსტი არის საკმაოდ ვრცელი (ოთხნაწილიანი) ლექსი, რომელშიც არჩევნების პროცესში შემჩნეულ უკანონობასა და კონკრეტული პარტიების არაკეთილსინდისიერ ქმედებაზეა საუბარი. ტექსტი ხელმოუწერელია. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გაზეთში ხელმოუწერლადვეა გამოქვეყნებული ის ტექსტები, რომელთა ავტორი ნამდვილად აკაკი წერეთელია. მაგ.: რაუშ ფონ ტრაუბენბერგის კარიკატურის ლექსი („დიდყურაანთ ყროყინას...“) და „ბენია და ბემტია“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ Затерянный ფსევდონიმია გრიგოლ ალექსანდრეს ძე პალმისა, რომელიც გაზ. „Черноморский вестник“-ის რედაქტორი იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ნაწილობრივ სწორია და ლექსის ავტორი მართლაც აკაკი წერეთელია; მით უფრო, რომ პოეტი თავის პასუხში ამ ფაქტს არ აპროტესტებს. ცხადია, ამ ეტაპზე გადაჭრით რაიმეს მტკიცება არ შეიძლება, თუმცა სამომავლოდ კვლევამ შეიძლება მართლაც დაადასტუროს აკაკის ავტორობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, გაზ. „ხუმარა“, გრიგოლ ალექსანდრეს ძე პალმი

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გამოსცემს აკაკი წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულს ოც ტომად. უკვე დაიბეჭა და მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ცამეტი ტომი; მომდევნო ტომებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, XVI ტომი უნდა დაეთმოს აკაკის რუსულენოვან თხზულებებს, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაბეჭდილი წინა აკადემიური გამოცემის მე-15 ტომში პირად წერილებთან ერთად.

აკადემიური ოცტომეულის XVI ტომში უკანასკნელ წლებში გამოვლენილი ბევრი რუსულენოვანი თხზულება დაიბეჭდება. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ უკვე ვსაუბრობდით „აკაკის კრებულის“ II ტომში; ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციაა მოწოდებული მ. ნინიძის ტექსტოლოგიურ მიმოხილვაში - „აკაკი წერეთლის უცნობი რუსულენოვანი სტატიები“, რომელიც 2014 წელს გამოქვეყნდა ჟ. „ლიტერატურულ მიებანში“. ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მიმოხილვაში დასახელებულმა აკაკი წერეთლის ერთ-ერთმა სტატიამ „Ответ газете „Новое Время“.

ის გარემოება, რომ სტატია, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, არათუ თხუთმეტტომეულში არ არის დაბეჭდილი, არამედ არც ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის მიერ შედგენილ „აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეშია“ მოხსენიებული, იმის მანიშნებელია, რომ აკაკის რუსულენოვანი ტექსტების ძიებისა და გამოვლენის პროცესს დასრულებულად ვერც ზემოხსენებული XVI ტომის გამოცემის შემდეგ ჩავთვლით. საქმე ისაა, რომ რუსეთისა და უკრაინის არქივებში დაცული მასალა ამ ეტაპზე ჩვენთვის არაა ხელმისაწვდომი, არადა პოეტი ხშირად და საკმაოდ ხანგრძლივად იმყოფებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, ოდესაში, ხარკოვში, კიევსა და სხვა ქალაქებში; ადვილი შესაძლებელია, რომ ადგილობრივ გაზეთებში იყოს მისი პუბლიკაციები; ვფიქრობთ, სამომავლოდ კიდევ არაერთი ტექსტის მოძიება იქნება შესაძლებელი, რაც თავის დროზე შევსებულ და გადამუშავებულ ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დაწყების საფუძველს შექმნის.

1907 წლის 21 მარტს გაზეთ „Закавказье“-ში გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის მიერ ხელმოწერილი სტატია „Ответ газете „Новое Время“. როგორც სათაურიდანვე ჩანს, იგი პასუხია დასახელებული პერიოდული გამოცემის ერთ-ერთ პუბლიკაციაზე, რომელშიც პოეტი ცილისწამების ობიექტადაა ქცეული. კერძოდ, საუბარია გაზ. „Новое Время“-ში იმავე წლის 12 მარტის 11122-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაზე „Охота на русских людей“.

„Новое Время“ სანკტ-პეტერბურგში გამოდიოდა 1868-1917 წლებში. თავდაპირველად კვირაში ხუთი ნომერი იბეჭდებოდა; დაარსებიდან ორი წლის შემდეგ გაზეთი ყოველდღიური გახდა, 1881 წლიდან დღეში ორი ნომერი გამოდიოდა - დილისა და საღამოსი, 1891 წლიდან კი ყოველკვირეული ილუსტრირებული გამოცემაც დაემატა. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ

1907 წლისთვის ხსენებული პერიოდული გამოცემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა და უამრავი მკითხველი ჰყავდა; შესაბამისად, მის ფურცლებზე დაბეჭდილ ინფორმაციას მთელი იმპერიის მასშტაბით შეიძლებოდა ჰქონოდა რეზონანსი. „Новое Время“-ს რედაქტორი გახლდათ ა. სუვორინი (1834-1912) - ცნობილი რუსი ჟურნალისტი, მწერალი, გამომცემელი, თეატრალური კრიტიკოსი და დრამატურგი. იგი 1876 წელს ჩუდგა სათავეში გაზეთს და თავის „მოკლე წერილებში“ რუსული სინამდვილის ყველაზე მწვავე და მტკივნეულ საკითხებზე საუბრობდა. სპეციალისტების შეფასებით, „Новое Время“-მ რუსულ ჟურნალისტიკაში მთელი ეპოქა შექმნა. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რედაქტორი არცთუ ისე დიდი ყურადღებით ეპყრობოდა იმპერიის განაპირა, დაპყრობილი რეგიონებიდან მიღებული კორესპონდენციების ნამდვილობის შემოწმებას. სხვაგვარად მისი გაზეთის ფურცლებზე ნამდვილად ვერ მოხვდებოდა კორესპონდენცია თბილისიდან „Охота на русских людей“, რომელიც ფსევდონიმით - Затерянный - იყო ხელმოწერილი.

სტატიის შინაარსი საკმაოდ პროვოკაციულია. თუ ავტორს დაუფიქრებთ, რუსი ეროვნების ადამიანები საქართველოში სასტიკად იდევნებიან. ქართველი ნაციონალისტები მათ გასაქანს არ აძლევენ; ამასთან, თურმე პერიოდული პრესაც მათ უჭერს მხარს და აქეზებს, ისე ინადირონ რუსებზე, როგორც გარეულ მხეცებზე. კორესპონდენტი არწმუნებს მკითხველებს, რომ მიზანში ამოღებულ ადამიანს არაფერი შველის - მას ან ტყვიას დაახლიან, ან ხანჯლით განგმირავენ, ან ბომბის აფეთქებას ემსხვერპლებს. მაგალითისთვის კი უამბობს მკითხველებს კავკასიის მეაზრეშუმეობის სადგურის დამაარსებელ ნ. შავროვზე თავდასხმის ამბავს. სტატიის ავტორს ძალზე დამახასიათებლად მიაჩნია არა მარტო თავად შემთხვევა, არამედ ის მოვლენები, რომლებიც მას უძღოდა წინ. კერძოდ, ქართულ იუმორისტულ გაზეთ „ხუმარაში“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც აკაკი წერეთელი იყო, დაბეჭდილი „სრულიად არაორაზროვანი მინიშნება“ ბატონ შავროვის ლიკვიდაციაზე. თურმე ქართული გაზეთი შავროვს მოიხსნიებდა, როგორც შავრაზმელს, რომელი დაჯგუფების წევრებიც ანადგურებდნენ მათთვის მიუღებელ ადგილობრივ მოღვაწეებს. ავტორიტეტული ქართველი მწერლის სიტყვა თურმე საკმარისი აღმოჩნდა იატაკქვეშელთათვის და ამ პუბლიკაციიდან რამდენიმე დღეში მკვლელები კიდევაც ჩაუსაფრდნენ ბატონ შავროვს. შემდეგ კორესპონდენტი რაც შეძლება მხატვრულად აღწერს თავდასხმას შავროვზე, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა ტყვიებს, თუმცა მკვლელების მეორე ჯგუფი, რომელიც მას სახლთან უდარაჯებდა, დაუნდობლად გაუსწორდა ე.წ. გოროდოვოს.

სტატიის ავტორი დარწმუნებით ამბობს - კავშირი აკაკი წერეთლის პუბლიკაციასა და თავდასხმას შორის იმდენად ნათელი იყო, რომ გენერალ-გუბერნატორმა ტიმოფეევმა გაზეთი აკრძალა, ხოლო პოეტი ციხეში ჩასვაო. თუმცა, აღშფოთებას ვერ ფარავს იმ ფაქტის გამო, რომ აკაკი წერეთელი მეორე დღესვე გამოუშვეს ციხიდან, ხოლო ბატონ შავროვზე თავდასხმისათვის არავინ დასჯილა. სტატია პათეტიკური მოწოდებით სრულდება: „Да долго ли же наконецъ будутъ продолжатся подобнии безобразия? Есть мѣра, есть граница всему, за

исключениемъ нашей бюрократической халатности переступившей всякия мѣры и границы....Людей намъ дайте, людей, а не манекеновъ звнимающчихъ ихъ мѣста в кавказской административной иерархии.... А если мы ужъ такъ бедны людми, такъ лучше совсѣмъ откажутся отъ Кавказа, лучше отдать его в собственность туземнымъ автономистамъ, чем позориться и вести себя и другихъ къ гибели. Но нѣтъ, люди есть, не оскудѣла еще Россія - и Куропаткинъ, если его пришлютъ на Кавказъ,наидеть ихъ, я в это пламенно вѣрю“ (საუბარია ყოფილ სამხედრო მინისტრ ალექსი ნიკოლოზის ძე კუროპატკინზე (1848-1925), რომელმაც 1904-1905 წლებში თავი გამოიჩინა რუსეთ-იაპონიის ომში - ნ.ფ.).

გარდა იმისა, რომ სტატიაში ბევრი ტყუილი წერია, ჩვენთვის ყველაზე უცნაური გუბერნატორის გვარის არასწორად მითითებაა. იმ დროს თბილისის გუბერნატორის თანამდებობა ეჭირა ბარონ პავლე ალექსანდრეს ძე რაუშ ფონ ტრაუბენბერგს (1858-1923). სწორედ მას ეხებოდა გიგო ზაზიაშვილის კარიკატურა და აკაკის ლექსი, რამაც გაზეთის დახურვა და პოეტის დაპატიმრება გამოიწვია. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, ვინ იყო ტიმოფეევი, რომელსაც სტატიის ავტორი ძალიან აქებს, მაგრამ ინფორმაცია ვერსად მოვიძიეთ.

მაშასადამე, გაზეთის დახურვა და პოეტის დაპატიმრება გუბერნატორ რაუშ ფონ ტრაუბენბერგის შეურაცხყოფის შედეგი იყო და არა შავროვზე თავდასხმისა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ამ თემაზე მსჯელობა ზედმეტია, თუმცა თავის სტატიაში **Затерянный** ასეთ რამეს ამბობს: „... Черезъ нѣсколько дней послѣ появления подлой клеветы, **оглашенной авторитетнымъ княземъ**, убиицы уже подкараулили Шаврова...“ ანუ, კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ავტორი იმ მასალისა, რომელიც შავროვს ეხება და რომელმაც თავდასხმის პროვოცირება გამოიწვია, არის აკაკი წერეთელი - მან „გააჟღერა“ ეს მოწოდება. თავად აკაკიც სწორედ ასე იგებს კორესპონდენტის სიტყვებს და მის ბრალდებას ასე აყალიბებს: „Я, какъ ярый националистъ, намечаю жертвы анархистамъ и они тотчасъ же пускаютъ в ходъ кинжалы, револьверы и бомбы“. შემდეგ აკაკი აზუსტებს, რომ შავროვზე თავდასხმა მოხდა არა „ხუმარას“ გამოსვლიდან რამდენიმე დღის, არამედ მეორე დღეს. „ხუმარა“ მკითხველმა მიიღო 14 თებერვალს, კვირას. ცხადია, საცენზურო კომიტეტის ნებართვის შემდეგ. თავდასხმა კი ორშაბათს განხორციელდა. აკაკის თქმით, ბატონ შავროვს არ იცნობს; მხოლოდ „Новое Время“-ში დაბეჭდილი სტატიის შემდეგ დაინტერესდა მისი ვინაობით და შეიტყო, რომ სწორედ იმ ინჟინერ შავროვის შვილი ყოფილა, რომელმაც ფოთის პორტის ასაშენებლად გამოყოფილი მილიონები უმიზნოდ გაანიავა.

აკაკი თვლის, რომ **Затерянный**-ის ტიპის ადამიანებთან არაფრის გარკვევა არ ღირს, ამიტომ მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს გაზეთის რედაქტორს; მოითხოვს, მან პირადად გადაამოწმოს გაზ. „ხუმარას“ ნომერი და თუკი დადასტურდება კორესპონდენტის სიტყვები, პოეტი მზადაა ნებისმიერი სასჯელი მიიღოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოითხოვს გაზეთში შეცდომის გასწორებას და ეს რედაქტორის სინდისისა და ღირსების საქმედ მიაჩნია. თუკი ასე

არ მოხდება, აკაკი აპირებს ღირსების სასამართლოს მიმართოს იმ პირობით, რომ მედიატორული გადაწყვეტილება უსათუოდ იქნება გამოქვეყნებული პრესაში.

ამ ეტაპზე ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდა მოვლენები; დაბეჭდა თუ არა რაიმე ამ საკითხთან დაკავშირებით სუვორინმა თავის გაზეთში, მაგრამ საყურადღებო სხვა რამაა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *Затерянный* -ის სტატიაში იმ ტექსტის ავტორად, რომელშიც შავროვია ნახსენები, აკაკი წერეთელი მოიაზრება.

ხსენებული ტექსტი საკმაოდ ვრცელი (ოთხნაწილიანი) ლექსია, რომელშიც არჩევნების პროცესში შემჩნეულ უკანონობასა და კონკრეტული პარტიების არაკეთილსინდისიერ ქმედებაზეა საუბარი. ეპიზოდი კი, სადაც შავროვია მოხსენიებული, ასე ჟღერს:

„გათენდა დილა კენჭაობისა.
ცერებზე შედგა ქალაქი მთელი..
თოვლის სუდარამ გახვია არე,
ქუჩას მოედო რაზმი „დამცველი“.

კვლავ შეიტაკნენ მებრძოლთ რაზმები,
მაგრამ არსად სჩანს ზოგი მათგანი
და მიცვალებულთ მაგიერობას
ეწევა „ლომი“ დაშნაკ ცაკანი.

ხულიგანებიც მამაცათ სცემენ,
შავროვისაგან დაკურთხებული,
მარტო კადეტებს და ჰანჩაკისტებს
სისუსტისაგან წაუხდათ გული.“

მართალია, ლექსში შავროვი მხილებულია, როგორც იმ კრიმინალური ელემენტების მხარდამჭერი და წამქეზებელი, რომლებიც სახელმწიფო დუმაში გასაგზავნი დეპუტატების არჩევნების სამართლიანად ჩატარებას უშლიდნენ ხელს, მაგრამ არანაირი მინიშნება არ არის მისი ფიზიკურად განადგურების მართებულებაზე. შავროვი ამ საკმაოდ ვრცელ ტექსტში მეტი აღარსადაა ნახსენები. რეალურად, ეს სატირა მიმართულია იმ პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც არაკეთილსინდისიერი მიზნებითა და საშუალებებით ცდილობდნენ „დუმაში“ მოხვედრას. კერძოდ, ფედრალისტების, რადიკალების, კადეტების, სოციალ-დემოკრატებისა და ე.წ. დაშნაკცაკანების წინააღმდეგ (დავაზუსტებთ: *დაშნაკცაკანი* არის 1890 წელს შექმნილი სომეხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციური პარტიის, დაშნაკცუთუნის [სომხ. *dasnakcutjun*] წევრი; *ჰანჩაკისტები* კი გაზ. „ჰანჩაკის“ (სომხ. ნობათი) ირგვლივ დარაზმული სომეხი ემიგრანტები არიან, რომელთა დიდ ნაწილს ოსმალეთიდან დევნილები წარმოადგენდნენ - ნ.ფ.).

რაც შეხება აკაკი წერეთლის ავტორობის საკითხს, აქ რამდენიმე საკითხია საყურადღებო: პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ტექსტი ხელმოუწერელია. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე გაზეთში ხელმოუწერლადვე გამოქვეყნებული ის ტექსტები, რომელთა ავტორი ნამდვილად აკაკი წერეთელია. მაგ.: რაუშ ფონ ტრაუბენბერგის კარიკატურის ლექსი („დიდყურაანთ ყროყინას...“) და „ბენია და ბეშტია“.

საინტერესოა ლექსის სათაური: „Се лев, а не собака“. ამ ფრთიანი გამონათქვამის ისტორია ასეთია: ერთმა მხატვარმა რელიგიური შინაარსის ლითოგრაფიებისათვის ლომის დახატვა იკისრა. საკუთარ ნამუშევარს რომ შეხედა, საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა, რომ მნახველები ლომს ვერ ამოიცნობდნენ და მიაწერა: „ეს ლომია და არა ძაღლი“. ამგვარი სათაურის შერჩევა - ირონიულისა და მახვილგონივრულის - აკაკისთვის დამახასიათებელია. მით უფრო, რომ ლექსის წაკითხვის შემდეგ ეს გამოთქმა კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს - „ლომი“ სინამდვილეში გაქუცული ძაღლი აღმოჩნდება.

შინაარსობრივი თვალსაზრით ლექსი წინააღმდეგობაში არ მოდის ამავე თემაზე შექმნილ აკაკის სხვა ნაწარმოებებთან. ფორმოზივი კუთხითაც არის აშკარა მსგავსება, თუმცა საკითხი გაცილებით უფრო სერიოზულ კვლევას ითხოვს.

დაბოლოს, არანაკლებ საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი: Затерянный ფსევდონიმი გრიგოლ ალექსანდრეს ძე პალმისა, რომელიც გაზ. „Черноморский вестник“-ის რედაქტორი იყო (წყარო: პოეტ - აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა - მუზეუმის კატალოგი. ტ. 1. ნაკვ. 3. თბ., 1980. გვ. 603; Масанов И.Ф. Словарь псевдонимов русских писателей, ученых и общественных деятелей: В 4 т. Т. 4. М., 1960. — С. 358). შეიძლება დავუშვათ, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ნაწილობრივ სწორია და ლექსის ავტორი მართლაც აკაკი წერეთელია; მით უფრო, რომ პოეტი თავის პასუხში ამ ფაქტს არ აპროტესტებს.

ლიტერატურა:

ნინიძე მ., -აკაკი წერეთლის უცნობი რუსულენოვანი სტატიები (ტექტოლოგიური მიმოხილვა), ჟ. „ლიტერატურული მივანი“ XXXV, 2014.

ფრუიძე ნ., - ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილი თხზულებების შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ გამომცემლობა, 2005.

წერეთელი ა., - თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VIII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1958.

„ხუმარა“, 1907, #1.

„Закавказье“, 1907, # 65, 21.II,I სტ.3.

„Новое Время“, 1907, # 11122,12.III, სტ. 5.

One more unknown writing of Akaki Tsereteli

Abstract

On 21st march of 1907 in newspaper “Закавказье” was published an article „Ответ газете „Новое Время“ signed by Akaki Tsereteli. More particularly, it was about an article „Охота на русских людей“ published on 21st march in 11122st edition of the newspaper „Новое Время“, which is also known as a pseudonym of “Затерянный”.

The summary of an article is very provocative. If we trust the author, Russian people are brutally persecuted in Georgia. For example, article tells a story about an assault on a founder of a silk factory N. Shavrov.

An author of an article thinks that there is a connection between an assault and a publication in a humoristic newspaper “Joker” (Khumara). As he says that is the main reason that governor shut down the newspaper and put the editor Akaki Tsereteli in jail.

In reality, the reason for shutting down the newspaper and arresting the poet was insulting Governor Raush von Traubenberg and not an assault on Shavrov. But in his article Затерянный says: „...Черезь нъсколько дней послъ появления подлой клеветы, **оглашенной авторитетнымъ князем,** убилицы уже подкараулили Шаврова...” So the correspondent thinks, that the author of the material which provoked assault is Akaki Tsereteli.

The above-mentioned text published in newspaper “Khumara” is a long poem, which consists of four parts. It is about lawlessness during elections and unfair practice from political parties. The text is not signed, but we need to mention that there are other published and unsigned texts, which definitely belong to Akaki Tsereteli, i.e. caricature poem about Raush von Traubenberg and “Benia and Beshtia”.

If we consider the fact that Затерянный is a pseudonym of G. Palm, who was an editor of newspaper „Черноморский вестник“, we can assume that the information which he had is partially correct and the author of the poem is Akaki Tsereteli. In addition, the poet did not protest this fact in his answer. It is clear that for now nothing can be proven, but future research may prove the authorship of Akaki.

რეგენზენტი: პროფესორი სვეტლანა კოროტკაია